კარტოგრაფიის თეორიის სათავეებთან - ალექსანდრე ასლანიკაშვილი

<u>თენგიზ გორდეზიანი</u>

ელ.ფოსტა: tengiz.gordeziani@tsu.ge;

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი

კარტოგრაფიის როგორც სისტემის თეორიული საფუძვლები სათავეებს იღებს გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან. კარტოგრაფიის თეორიის შექმნა დაკავშირებულია ალექსანდრე ასლანიკაშვილის სახელთან. კარტოგრაფიის თეორიას საფუძვლად უდევს მისი დიდი სამეული (ე.წ. დიდი ტრიადა): საგანი, მეთოდი და ენა. ა. ასლანიკაშვილმა თავის კონცეფციას „მეტაკარტოგრაფია“ უწოდა. ეს არის მოძღვრება საგანზე, მეთოდსა და ენაზე. ამ კონცეფციის მიხედვით კარტოგრაფია განიხილება როგორც მეცნიერება ობიექტური რეალობის საგნებისა და მოვლენების კონკრეტული სივრცისა და მისი დროული ცვალებადობის შესახებ. კონკრეტული სივრცე - ეს არის რეალობის საგნებისა და მოვლენების ურთიერთგანლაგების წესრიგი, როგორც ერთმანეთის მიმართ, ისე ათვლის სივრცითი სისტემის (საკოორდინატო ბადის) მიმართ. კარტოგრაფიის მეთოდოლოგიაში გამიკვლეულია: შედარების, ანალიზის, სინთეზის, აბსტრაჰირების, განზოგადებისა და მოდელირების კარტოგრაფიული ფორმები. კარტოგრაფიის თეორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მასშტაბის საკითხს. კონცეფციის ავტორმა გამოიკვლია სივრცის მასშტაბი, როგორც აბსტრაჰირების ხარისხი; შინაარსის მასშტაბი, როგორც განზოგადების ხარისხი და დასვა საკითხი დროის მასშტაბის შესახებ. მნიშვნელოვანია ასევე ასლანიკაშვილის თეორიაში რუკის ენის საკითხი. მან გამოიკვლია რუკის ენის სემიოტიკური ასპექტები და კარტოგრაფიის თეორია დაუკავშირა სემიოტიკას. სწორედ ალექსანდრე ასლანიკაშვილიდან იღებს სათავეს კარტოსემიოტიკური კვლევები, რომელიც შემდგომ უფრო აქტუალური გახდა. ასლანიკაშვილის თეორიაში მოცემულია კარტოგრაფიის შინაგანი სტრუქტურის ორიგინალური სქემა. აქვე წარმოდგენილია კარტოგრაფიის ადგილის სქემა მეცნიერებათა საკლასიფიკაციო საერთო სქემაში და კარტოგრაფიის კავშირის სქემა სხვა მეცნიერებებთან. წარმოდგენილია ასევე რუკათა კლასიფიკაციის ორიგინალური სქემა.

ა. ასლანიკაშვილმა ცალკე კვლევები დაუთმო კარტოგრაფიისა და გეოგრაფიის ისტორიული ერთიანობისა და სისტემური არსის საკითხებს. ამ საკითხს ეძღვნება გამოჩენილი თეორეტიკოსის ბოლო შრომა, რომელიც 1981 წელს გამოქვეყნდა.

აღსანიშნავია ის საკითხი, რომ ასლანიკაშილის მეტაკარტოგრაფია 1990 წელს იაპონელმა კარტოგრაფებმა თარგმნეს თავიანთ მშობლიურ ენაზე, ხოლო ევროპელი კარტოგრაფებისათვის ამ კონცეფციის საკვანძო საკითხები დღესაც არ კარგავს თავის აქტუალობას.